ჭეშმარიტად, შემწყნარებლობა ალამაზებს ყველაფერს, რაშიც ის არსებობს, და აფუჭებს ყველაფერს, რასაც იგი აკლია

გადმოცემულია აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, შემწყნარებლობა ალამაზებს ყველაფერს, რაშიც ის არსებობს, და აფუჭებს ყველაფერს, რასაც იგი აკლია».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს რომ ლმობიერება, სირბილე და სიდინჯე სიტყვებსა და ქმედებებში ჰმატებს საქმეებს სილამაზეს, სრულყოფილებას და სიკეთეს. და ვინც ამ თვისებებს ფლობს უფრო მარტივად შეძლებს სასურველის მიღწევას. ლმობიერების უქონლობა აფუჭებს საქმეებს, აუშნოებს მათ და ხელს უშლის საქმეთა მფლობელს სასურველი შედეგის მიღწევაში. ხოლო თუ ის მაინც მიაღწევს მიზანს, ეს დიდი სირთულეებით მოხდება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5796